თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორია

თბილისის მესამე საერთაშორისო
მუსიკოლოგიური კონფერენცია

# მუსიკოლოგია საზღვრებით და საზღვრებს გარეშე

2-3 მაისი, 2019 წელი

## პროგრამა

2015 წელს თსკ-ში საფუძველი ჩაეყარა საქართველოში პირველ *თბილისის საერთაშორისო მუსიკოლოგიურ კონფერენციას* (თსმკ). კონცეფციის თანახმად, კონფერენცია ტარდება ორ წელიწადში ერთხელ და მისი თემატიკა ცვალებადია. იგი მიზნად ისახავს თანამედროვე მუსიკოლოგიის ზოგადი პრობლემატიკის განხილვას, იმ გზებისა და პერსპექტივების გამოკვეთას, რაც განაპირობებს მუსიკოლოგიის სამომავლო განვითარებას; გარდა ამისა, ქართული თანამედროვე მუსიკოლოგიური სკოლის საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციონირებას და განსხვავებული ტრადიციების მქონე სამეცნიერო სკოლებს შორის ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას.

თსკ-ს სამეცნიერო კვლევის სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2024) თანახმად, კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა ინტერდისციპლინარული კვლევები და შემოქმედებითი კვლევა. სწორედ აღნიშნულმა განსაზღვრა წლევანდელი საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენციის ძირითადი თემა — „მუსიკოლოგია საზღვრებით და საზღვრებს გარეშე", რომელიც შემდეგ მიმართულებებს მოიცავს: თეორიული და ისტორიული მუსიკოლოგიის თანამედროვე გამოწვევები; შემოქმედებითი კვლევა; მუსიკა, სიტყვა და გამოსახულება; მუსიკის ინტერტექსტუალური ასპექტები; რეჟიმი, იდეოლოგია და მუსიკა; სანოტო ტექსტის ფიქსირება: ტრანსკრიფცია, ნოტაცია, დოკუმენტირება. წლევანდელ კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ არამარტო მუსიკისმცოდნეები, არამედ შემსრულებლები და კომპოზიტორები საქართველოდან, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებსა და აშშ-დან. კონფერენციის დღეებში წარმოდგენილი იქნება ასევე თემატური კონცერტები: „ქართული მუსიკა საზღვრებით და საზღვრებს გარეშე"; ტრადიციული მუსიკის საღამო, მიძღვნილი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მუსიკისმცოდნის ვლადიმერ ახობაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი; „ერთი ხეობის ფოლკლორი — ჭვანა": აჭარული ტრადიციული სიმღერები და ცეკვები, ეთნოგრაფიული გამოფენა. კონფერენციის დასკვნით ეტაპზე — მრგვალ მაგიდაზე: „მუსიკოლოგიური დისციპლინების სწავლება: პერსპექტივები და გამოწვევები უმაღლესი სამუსიკო დაწესებულებებისათვის" — მონაწილეები ერთმანეთს გაუზიარებენ დარგის სწავლების გამოცდილებას.



# კონფერენციის პროგრამა
## განრიგი

### 1 მაისი, ოთხშაბათი

| | | | |
|---|---|---|---|
| **დოქტ. დინა ლენცნერი** კოლუმბუსის უნივერსიტეტის (ოჰაიო) მუსიკის თეორიისა და კომპოზიციის პროფესორი. აშშ | ლექცია — „ეს ყველაფერი ჩემს შესახებაა: ფენომენოლოგიური ხედვა მუსიკის ანალიზსა და ინტერპრეტაციაზე" | 12:00 | აუდ № 421 |
| **დოქტ. რიმა პოვილიონიენე** ლიეტუვას მუსიკისა და თეატრის აკადემიის ასოც. პროფესორი. ლიეტუვა | ლექცია — „მინი და მიკრო: მუსიკის შექმნის ტენდენციები XX და XXI საუკუნეებში. ლიეტუველი კომპოზიტორების ნამუშევრები". | 14:00 | აუდ. № 421 |

### 2 მაისი, ხუთშაბათი

| | | |
|---|---|---|
| მონაწილეების რეგისტრაცია | 09:15 - 09:50 | IV სართული |
| კონფერენციის გახსნა | 09:50 - 10:00 | აუდ. №421 |
| პლენარული სესია 1 | 10:00 - 11:30 | აუდ. №421 |
| შესვენება | 11:30 - 12:00 | |
| პლენარული სესია 2 | 12:00 - 14:00 | |
| შესვენება | 14:00 - 14:50 | |
| პლენარული სესია 3 | 14:50 - 16:20 | |
| პლენარული სესია 4 | 10:00 - 11:30 | აუდ. №425 |
| შესვენება | 11:30 - 12:00 | |
| პლენარული სესია 5 | 12:00 - 14:00 | |
| შესვენება | 14:00 - 14:50 | |
| პლენარული სესია 6 | 14:50 - 16:20 | |
| კონცერტი — „თბილისის კონსერვატორია წარმოგიდგენთ: *ქართული პროფესიული მუსიკა საზღვრებით და საზღვრებს გარეშე*". | 17:00 | მცირე დარბაზი |
| ტრადიციული მუსიკის საღამო მიძღვნილი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მუსიკისმცოდნე ვლადიმერ ახობაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი. | 19:00 | დიდი დარბაზი |

## 3 მაისი, პარასკევი

| | | |
|---|---|---|
| პლენარული სესია 7 | 09:30 -11:30 | აუდ. № 421 |
| შესვენება | 11:30 -12:00 | |
| პლენარული სესია 8 | 12:00 -14:00 | |
| შესვენება | 14:00 -14:50 | |
| პლენარული სესია 9 | 14:50 -16:20 | |
| პლენარული სესია 10 | 12:00 -14:30 | აუდ. № 425 |
| მრგვალი მაგიდა:<br>„მუსიკოლოგიური დისციპლინების სწავლება, პერსპექტივები და გამოწვევები უმაღლესი სამუსიკო დაწესებულებებისათვის“.<br>მომხსენებლები:<br>დინა ლენცნერი, რიმა პოვილიონიენე, მარინა ქავთარაძე, მარიკა ნადარეიშვილი | 16:30 -18:00 | აუდ. № 421 |
| „ერთი ხეობის ფოლკლორი — *ჭვანა*“ (აჭარული ტრადიციული სიმღერები და ცეკვები; ეთნოგრაფიული გამოფენა). | 19:00 | დიდი დარბაზი |

## 4 მაისი, შაბათი

| | | |
|---|---|---|
| კულტურული პროგრამა | 11:00 | კონსერვატორიის შესასვლელი |



# სამეცნიერო სესიების პროგრამა

## ხუთშაბათი, 2 მაისი

**<u>აუდიტორია №421</u>**

**სესია 1 - სანოტო ტექსტის ფიქსირება: ტრანსკრიფცია, ნოტაცია, დოკუმენტირება**
**სხდომის თავმჯდომარე: თამარ ჩხეიძე**

**10:00 – თამაზ გაბისონია** (საქართველო) – ქართული ტრადიციული მუსიკის ნიმუშთა ფიქსაციისა და ანალიზის პრობლემური საკითხები

**10:30 – ეკატერინე ონიანი** (საქართველო) – ქართული სამუსიკო პალეოგრაფია სხვადასხვა სამონასტრო ტრადიციაში

**11:00 – ხათუნა მანაგაძე** (საქართველო) – ანდრია კრიტელის „სინანულის კანონის“ ძლისპირების ნოტირების საკითხისათვის

**11:30 – 12:00 – შესვენება (აუდ. №405)**

**სესია 2 – რეჟიმი, იდეოლოგია და მუსიკა**
**სხდომის თავმჯდომარე: რუსუდან წურწუმია**

**12:00 – იულია იონანე** (ლატვია) – „აკრძალული ხილის“ სინდრომი „ცარიელი ნიშის შევსების“ სინდრომის წინააღმდეგ: რეჟიმის გარეთ მცხოვრები ლატვიელი კომპოზიტორების მუსიკალური ნაწარმოებების მაგალითზე

**12:30 – რიმა პოვილიონიენე** (ლიეტუვა) – ლიეტუვური მიკროტონური მუსიკალური ექსპერიმენტები ომთაშორისი და პოსტსაბჭოთა კულტურული ცვლილებების კონტექსტში

**13:00 – მაია სიგუა** (საქართველო) – პოლიტიკა და ირონია ჰანს ვერნერ ჰენცეს „ბასარიდებში“

**13:30 – ბეატა ბოლესლავსკა-ლევანდოვსკა** (პოლონეთი) – ახალი რეალობის წინაშე – პოლონელი კომპოზიტორები 1945 წლის შემდგომ პირველ წლებში

**14:00-14:50 – შესვენება**

**სესია 3**
**სხდომის თავმჯდომარე: ბეატა ბოლესლავსკა-ლევანდოვსკა**

**14:50 – ნანა შარიქაძე** (საქართველო) – გლობალური მუსიკალური პროცესები: გავლენებისა და მსგავსების შესახებ XX საუკუნის 60-იანი წლების ქართულ მუსიკაში

**15:20 – რუსუდან წურწუმია** (საქართველო) – ცხოვრება ჩაკეტილ სივრცეში: ქართველი კომპოზიტორები საბჭოთა ეპოქაში

**15:50 – ოთარ კაპანაძე** (საქართველო) – ქართული საბჭოთა ხალხური სიმღერები: მუსიკალური ენა და ჟანრული საფუძვლები

**აუდიტორია №425**

**სესია 4 – მუსიკა, სიტყვა და გამოსახულება**
**სხდომის თავმჯდომარე: ნინო ჟვანია**

**10:00 – მაია ტაბლიაშვილი** (საქართველო) – შემოქმედებითი თვით-გამოხატვის უსასრულობა – სინკრეტული კონტრაპუნქტი ე. ჭაბაშვილის სიმფონია-გამოფენაში „ხმა“

**10:30 – ნიკო დე ვილიერსი** (დიდი ბრიტანეთი) – კინემატოგრაფიული ელემენტები რიჩარდ ჰეგემანის სიმღერებში

**11:00 – მილოშ ზატკალიკი** (სერბეთი) – პირველადი პროცესები, გამოსახულება, სიტყვა და ფსიქოანალიტიკურად დასაბუთებული მუსიკალური ანალიზი

**11:30 – 12:00 – შესვენება**

**სესია 5 – მუსიკის ინტერტექსტუალური ასპექტები**
**სხდომის თავმჯდომარე: მაკა ვირსალაძე**

**12:00 – გვანცა ღვინჯილია** (საქართველო) – შუმანის „კარნავალი“ და ტენესი უილიამსის „კამინო რიალი“

**12:30 – დინა ლენცნერი** (აშშ) – ზუსტად ჩრდილოეთით: ერიკს ეშენვალდსი და *ჩრდილოეთის ციალი*, როგორც გაცხადებული მხატვრული სივრცე

**13:00 – ევა შრაიბერი** (პოლონეთი) – მუსიკალური კანონის იდეა თანამედროვე კომპოზიტორების დისკურსში

**13:30 – მარინა ქავთარაძე** (საქართველო) – „ხანუმას“ ხუთი სიცოცხლე ანუ „ხანუმადან“ „ბარბალემდე“

**14:00-14:50 – შესვენება**

**სესია 6**
**სხდომის თავმჯდომარე: ეკა ჭაბაშვილი**

**14:50 – ეველინა სუმელიუს-ლინდბლომი** (ფინეთი) – ინტერტექსტუალობა, როგორც განსხეულებული გამოცდილება

**15:20 – ჰანა ვინიშევსკა** (პოლონეთი) – მუსიკალური მიძღვნის ინტერტექსტუალობა

**15:50 – თამარ წულუკიძე** (საქართველო) – ქართულ მუსიკაში მხატვრის სახის გააზრების შესახებ

<u>17.00 – კონცერტი</u> **(კონსერვატორიის მცირე დარბაზი) – თბილისის კონსერვატორია წარმოგიდგენთ: თანამედროვე ქართული პროფესიული მუსიკა საზღვრებით და საზღვრებს გარეშე.** პროექტის ხელმძღვანელი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტ., ასოც. პროფ. **ნინო ჟვანია**

<u>19:00 - კონცერტი</u> **(კონსერვატორიის დიდი დარბაზი) – ტრადიციული მუსიკის საღამო,** მიძღვნილი მისი მოამაგის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მუსიკისმცოდნის **ვლადიმერ ახობაძის** დაბადებიდან 100 წლისთავისადმი. საღამოს გაუძღვება პროექტის ავტორი – ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტ., პროფ, **ნატალია ზუმბაძე**



**პარასკევი, 3 მაისი**

**აუდიტორია №421**

**სესია 7 – თეორიული და ისტორიული მუსიკოლოგიის თანამედროვე გამოწვევები**
**სხდომის თავმჯდომარე: რიმა პოვილიონიენე**

**09:30 – ნიკიტა მამედოვი (აშშ)** – შენკერისეული ანალიზისა და ნეორიმანისეული ტრანსფორმაციების ინტეგრირება ლისტის ტრანსცენდენტულ ეტიუდში №1

**10:00 – ლეილა მარუაშვილი** (საქართველო) – ბრიკოლაჟი – საკომპოზიციო ტექნიკა თუ აზროვნების ტიპი?

**10:30 – მაკა ვირსალაძე** (საქართველო) – პოლისტილისტიკის გამოვლენის თავისებურებები ქართველი კომპოზიტორების ნოდარ მამისაშვილის, ზურაბ ნადარეიშვილის და მაკა ვირსალაძის ზოგიერთი ნაწარმოების მაგალითზე

**11:00 – მარიკა ნადარეიშვილი** (საქართველო) – დოდეკაფონია ნათელა სვანიძის შემოქმედებაში

**11:30 - 12:00 – შესვენება**

**სესია 8**
**სხდომის თავმჯდომარე: ნანა შარიქაძე**

**12:00 – პაველ განცარჩიკი** (პოლონეთი) – შუა საუკუნეების მუსიკის ისტორიოგრაფიის ახალი ნარატივები: პოლიტექსტობრივი მოტეტი ცენტრალურ ევროპაში

**12:30 – რუსუდან თაბაგარი** (საქართველო) – იგორ სტრავინსკის სავიოლინო კონცერტი in D და ბაროკოს მუსიკა

**13:00 – ქეთევან ბოლაშვილი** (საქართველო) – დასავლეთი – აღმოსავლეთი: აშშ-დან ევროპისკენ

**13:30 – კრისტოფ ფლამი** (გერმანია) – რეგიონული, ეროვნული, გლობალური? კავკასიური მუსიკა დასავლურ პერსპექტივაში

**14:00 – 14:50 – შესვენება**

**სესია 9**
**სხდომის თავმჯდომარე: თამაზ გაბისონია**

**14:50 – ნატალია ზუმბაძე, ქეთევან მათიაშვილი** (საქართველო) – ხალხური წყაროდან პროფესიულ შემოქმედებამდე: ერთი თუშური ჰანგის შესახებ

**15:20 – თამარ ჩხეიძე** (საქართველო) – ქართული საგალობლის კილოური ორგანიზების თავისებურებები

**15:50 –ბოჟენა ჩურლიონიენე** (ლიეტუვა) – აკრძალვები ტრიტონის აპოთეოზის წინააღმდეგ: რიტორიკული ასპექტები

## <u>აუდიტორია №425</u>

**სესია 10 – შემოქმედებითი კვლევა**
**სხდომის თავმჯდომარე: მაია ტაბლიაშვილი**

12:00 – **ნინო ჟვანია** (საქართველო) – შემსრულებლისა და მსმენელის ინტერაქციის ახალი სახე ეკა ჭაბაშვილის სიმფონია-გამოფენაში „ხმა“

12:30 – **ეკა ჭაბაშვილი** (საქართველო) – ინტერაქტიული ხელოვნების გამოხატვის ფორმები და ჰიბრიდული ჟანრები (საკუთარი შემოქმედების მაგალითზე)

13:00 – **ევა ბოგულა** (პოლონეთი) – პოლონური და კოსმოპოლიტური ელემენტები ჰენრიკ მელცერის საფორტეპიანო კონცერტებში

13:30 – **ირინა გორკუნ-სილენი** (ფინეთი) – პოლ ტაფანელი და მარსელ მოიზი – ფრანგული საფლეიტო სკოლის ორი პიონერი

14:00 – **ენ ელიზაბეტ პიირაინენი** (ფინეთი) – რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ებრაულ თემებზე შექმნილი კლასიკური ნაწარმოებები კლარნეტისთვის: არასათანადოდ აღიარებული რეპერტუარის აღდგენა ორმაგი უგულებელყოფიდან

## <u>აუდიტორია №421</u>

<u>16:30 – მრგვალი მაგიდა</u> **თემაზე: *მუსიკოლოგიური დისციპლინების სწავლება: პერსპექტივები და გამოწვევები უმაღლესი სამუსიკო დაწესებულებებისათვის***

**მომხსენებლები: დინა ლენცნერი, რიმა პოვილიონიენე, მარინა ქავთარაძე, მარიკა ნადარეიშვილი**

<u>19:00 – კონცერტი</u> **(კონსერვატორიის დიდი დარბაზი) – „ერთი** ხეობის ფოლკლორი – ჭვანა“ (აჭარული ტრადიციული სიმღერები და ცეკვები; ეთნოგრაფიული გამოფენა). პროექტის კოორდინატორი – ეთნომუსიკოლოგი **ნინო რაზმაძე**



**კონფერენციის ორგანიზატორები მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის მადლობას უხდიან:**

ფონდს „ქართული გალობა“
პოლონეთის ინსტიტუტს საქართველოში
ლიეტუვას მუსიკისა და თეატრის აკადემიას
ლიუბეკის მუსიკის აკადემიას
ჟურნალ „მუსიკას“
საქართველოს რადიოს I არხს
აჭარის ტელევიზია - საზოგადოებრივ მაუწყებელს
„შატო მუხრანს“

**კონფერენცია ტარდება**
**თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის**
**სახელმწიფო კონსერვატორიაში**

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
**სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი**
**გრიბოედოვის 8/10, თბილისი, 0108. საქართველო**
**www.tsc.edu.ge**
**science@tsc.edu.ge**
**(+995 32) 2 98 71 88**